საქართველოს პარლამენტის ბიუროს

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის** პ/N
[redacted] მცხ.: [redacted]
[redacted] ტელ.: [redacted] ელ. ფოსტა:
[redacted]

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებულ იმ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებითაც ვფიქრობ, რომ საჭიროებს შემდომ დახვეწას.

დანართი:

- ✓ საკანონმდებლო წინადადება - საკონსულო ოლქის შემოვლის მექანიზმის რეგულირების შესახებ.
- ✓ 2377-IIს საკანონმდებლო პაკეტზე თანდართული განმარტებითი ბარათი;
- ✓ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის სხვა სახელმწიფოში შექმნილი საარჩევნო უბნები;
- ✓ საქართველოს საგარეოსაქმეთა სამინისტროს 01/11/2022 01/33169 წერილით მოწოდებული ანგარიშგების ფორმა.

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-2565/23
20 02 2023 წ. ფურცელი 11

<u>საქართველოს პარლამენტს</u>

საკანონმდებლო წინადადება

საკონსულო ოლქის შემოვლის მექანიზმის რეგულირების შესახებ

- **ცვლილების სახეობა:** „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.

- **კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:** საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეები, არა მხოლოდ უცხო სახელმწიფოების დედაქალაქებში ბინადრობენ არამედ ეკონომიკურად განვითარებულ მის სხვა ქალაქებში თუ რაიონებში. ამასთან, დედაქალაქების გარდა, სადაც საქართველოს საელჩოები არის განთავსებული, მხოლოდ რამდენიმე ქალაქია (სან ფრანცისკო, ნიუ იორკი, ბარსელონა, ბარი, სალონიკი, შტუტგარტი, მიუნხენი, მაინის ფრანკფურტი, ოდესა, ტრაპიზონი, სტამბოლი, განჯა) სადაც ადგილზე შეუძლიათ მიიღონ საკონსულო მომსახურება (გამომდინარე იქიდან, რომ ხსენებულ ქალაქებში დაფუძნებულია საქართველოს საკონსულო დაწესებულებები[1]). საქართველოს მოქალაქეებს უმრავლეს შემთხვევებში უწევთ სერვისის მისაღებად ეწვიონ საქართველოს საელჩოს თუ საკონსულო დაწესებულებას. აღნიშნული პრობლემურია არა მხოლოდ ფინანსური თუ დროითი რესურსიდან გამომდინარე, არამედ ქვეყანაში კანონიერი საფუძვლის გარეშე ყოფნიდან გამომდინარე გადაადგილების რისკების გათვალისწინებითაც. აქვე, უნდა აღინიშნოს ასევე, რომ რიგ მომსახურებებთან მიმართებით კანონმდებლობით განსაზღვრული დისტანციური (ვებ გვერდი, საფოსტო გზავნილი) მომსახურებისა, საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონით ასევე განსაზღვრულია საკონსულო მომსახურების გაწევა საკონსულო ოლქის შემოვლის[2] ფარგლებში. „საკონსულო საქმიანობის

---

[1] საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის (2019-2022) ამოცანა 6.2: საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვა და მათი ინტერესების რეალიზაცია. კვალიფიციური საკონსულო მომსახურების და ოპერატიული საკონსულო დაცვისგანხორციელების მიმართულებით თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ახალი მექანიზმების დანერგვა. საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებების უკეთ რეალიზებისთვის სამართლებრივი ბაზისშექმნის მიზნით უცხო ქვეყნებთან საკონსულო ურთიერთობების გაღრმავება. საზღვარგარეთ საქართველოსახალი საკონსულო დაწესებულებების გახსნის გზით **საკონსულო საქმიანობის განხორციელების სამოქმედო არეალის გაფართოება.** საზღვარგარეთ კრიზისულ და საგანგებო სიტუაციებისას უცხოეთში მყოფი თანამოქალაქეების დახმარება

2 “საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის **საკონსულო ოლქის შემოვლა გულისხმობს** საკონსულო ოლქის ფარგლებში <u>საქართველოს ფიზიკურ პირთა კომპაქტური დასახლების ადგილების</u> მონახულებას, მათი პრობლემების შესწავლას, მათთვის აქტუალური და

შესახებ“ საქართველოს კანონის თავდაპირველი ვერსიის შესაბამისად, საკონსულო თანამდებობის პირი ვალდებული იყო, რომ მინიმუმ წელიწადში ერთხელ მაინც განეხორციელებინა საკონსულო ოლქის შემოვლა. ამასთან, 2014 წლის 2 მაისს განხორციელებული ცვლილებებით (კანონი 2377-IIს) ზემოხსენებულ უფლებამოსილ პირებს მხოლოდ აუცილებლობის დადგომის შემთხვევაში ავალდებულებს მათ საკონსულო ოლქის შემოვლას. ხსენებული კანონის პროექტზე თანდართული განმარტებითი ბარათის გათვალისწინებით, ძველი რედაქციის არსებული ნორმის შესრულება აქტუალობას მოკლებული იყო არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, რადგან არის ქვეყნები (მაგ.: ავსტრალია, კატარი, იორდანია, არგენტინა, ბრაზილია), სადაც არ არსებობს საქართველოს მოქალაქეთა კომპაქტური დასახლებები (საქართველოს მოქალაქეთა კონცენტრაცია აღნიშნულ ადგილებში უმნიშვნელოა). ამასთან, საქართველოს საელჩოების და საკონსულო დაწესებულებების ვებ გვერდების მონიტორინგით[3] იკვეთება, რომ საკონსულო თანამდებობის პირების მიერ საკმაოდ იშვიათად სრულდება („დგება აუცილებლობა“) საკონსულო ოლქის შემოვლა[4], რაც თავისთავად დადებითად არ აისახება საქართველოს მოქალაქეთათვის საკონსულო დაცვის და საკონსულო დახმარების ხარისხზე. აღნიშნული შესაძლოა გამოეწვია, როგორც საკმარისი ფინანსების უქონლობას, ასევე რესურსის არასათანადო მიმართვა/ გამოყენებას.

- **იდენტიფიცირებული პრობლემა, რომლის გადაჭრა საკანონმდებლო წინადადების მიზანია:** საკონსულო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდის არასაკმარისი მექანიზმები.

საქართველოს საელჩოების და გენერალური საკონსულოების ვებ გვერდების მონიტორინგის შედეგად, იკვეთება ის ქალაქები, სადაც საკონსულო ფუნქციებს ასრულებს ერთზე მეტი დიპლომატიური თანამდებობის პირი:

სან ფრანცისკო	ნიუ იორკი	ბარსელონა	რომი	ბარი
პარიზი	ათენი	სალონიკი	ბერლინი	შტუტგარტი
მაინის	სტამბოლი	ტრანპიზონი	კიევი	ოდესა

საკონსულო თანამდებობის პირის **ხელთ არსებული ინფორმაციის მიწოდებას** და, შესაძლებლობის შემთხვევაში, **ადგილზე გარკვეული დახმარების გაწევას**

[3] საზღვარგარეთ საქართველოს მისიების ნუსხა იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://mfa.gov.ge/MainNav/EmbassiesRepresentations/GeorgianMissionsAbroad.aspx

[4] საკითხის სათანადო შეფასების/ სრული სურათის დანახვის მიზნით, სასურველი იქნებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 29/09/2010 4/17056 წერილით დადგენილი წლიური ანგარიშგების ფორმის მეორე პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის (3-5 წლიანი პერიოდზე) თავმოყრა.

ფრანკფურტი				
მოსკოვი	ბაქო	განჯა	პეკინი	ქაირო

შესაბამისად, ზემოხსენებულ ქალაქებში არსებობს იმის რესურსი, რომ გარდა ადგილზე „საკონსულო სამსახურში" მომსახურების გაწევისა, პარალელურ რეჟიმში დახმარება გაუწიონ შორეულ მანძილზე დროებით თუ მუდმივად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს (საკონსულო სამსახურს მოცემულ პერიოდში მოაკლდება მოქალაქეთა ის ნაკადი, რომლებიც ამჯობინებენ საკონსულო ოლქის შემოვლის ფარგლებში მათთან ვიზიტით მყოფ საკონსულო თანამდებობის პირს). თუმცა, სწორი დროითი და ფინანსური მენეჯმენტის პირობებში, შესაძლებელია იმ დიპლომატიურმა წარმომადგენლობებმაც დაგეგმონ საკონსულო ოლქის შემოვლა, სადაც საკონსულო ფუნქციებს მხოლოდ ერთი დიპლომატიური თანამდებობის პირი ასრულებს. მოცემულ შემთხვევაში, ერთის მხრივ გარკვეულწილად შესაძლოა გაიზარდოს სამივლინებო ხარჯებმა (სატრანსპორტო, სასტუმრო და დღიური ხარჯები[5]. ასევე, შესაძლოა დროებითი საოფისე ფართის დაქირავების თანხები), თუმცა, მეორეს მხრივ ამ ნაბიჯით ისარგებლონ და შესაბამისად დაზოგონ საკუთარი ფინანსური რესურსი რამდენიმე ათეულმა და შესაძლოა ასეულმა საქართველოს მოქალაქემ. აქვე, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტორსაც, რომ ადგილსამყოფელი ქვეყნის და დიასპორულ ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობის პირობებში, საკონსულო მომსახურებისათვის გასათვალისწინებელი საოფისე სივრცე შეიძლება დაუთმოს, როგორც ქართულმა დიასპორულმა ორგანიზაციებმა, ასევე, საქართველოს საპატიო კონსულებმაც[6], რომელთა რიცხვი დღეის მდგომარეობით 80-ს

[5] ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინების დროს სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯების ანაზღაურების სადღეღამისო ნორმები მოცემულია საქართველოს პრეზიდენტის 20/04/2005 231 ბრძანებულებაში წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/94774?publication=49

[6] საქართველოს მთავრობის 18/05/2016 N221 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს საპატიო კონსულის დებულების 23-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, საპატიო კონსულმა, შესაძლებელია, შეასრულოს საკონსულო ფუნქციებიც, თუ ამას გადაწყვეტს სამინისტრო, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო პირობები შეუქმნას სამინისტროს მიერ ხსენებული ფუნქციების შესასრულებლად წარგზავნილ პირს. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფუნქცია საპატიო კონსულს არ ჰქონდა განსაზღვრული დანიშვნის ბრძანებით, გაცემული საკონსულო პატენტით ან/და ხელშეკრულებით, სამინისტრო დადგენილი წესით მიიღებს თანხმობას ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საგარეო უწყებისაგან და შემდგომ მის შესრულებას ბრძანებით დააკისრებს საპატიო კონსულს.

აჭარბებს[7]. ასევე მხედველობაში არის მისაღები. საზღვარგარეთ საკონსულო ფუნქციებით საქართველოს დიპლომატიური თანამდებობის პირების აღჭურვაც, შესაბამისად როტაციის წესით გათვალისწინებული სამივლინებო ხარჯების გაღებაც, სწორედ, რომ საქართველოს მოქალაქეთათვის სამართლებრივი დაცვის და სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ იმ ვითარებაში, როდესაც სახელმწიფო ახალი საკონსულო დაწესებულებების დაფუძნებით დამატებით რესურს ქმნის უცხო სახელმწიფოს რომელიმე ქალაქში, ამ ვითარებაში კომპაქტურად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეთათვის თანასწორობის პრინციპი შეიძლება მოითხოვდეს ალტერნატიურლი მომსახურების მექანიზმების შექმნას. თანასწორობა უნდა ნიშნავდეს შესაძლებლობების თანასწორ უზრუნველყოფას[8], რაც მოცემულ შემთხვევაში შესაძლოა საქართველოს მოქალაქეთა მჭიდროდ დასახლებულ სხვა ადგილებზე პერიოდული მომსახურების და დახმარების გაწევითაც შეიძლება გამოიხატოს. თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა სახელმწიფოში დემოკრატიული მმართველობის საფუძველი უნდა იყოს. როგორც ჩანს, „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-21 პუნქტით გათვალისწინებული რეგულაცია (საკონსულო დეპარტამენტი უფლებამოსილია საკონსულო თანამდებობის პირს გაუწიოს რეკომენდაცია საკონსულო ოლქის შემოვლის შესახებ) ამას

---

[7] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ გვერდის შესაბამისად, საპატიო საკონსულოები ასევე დაფუძნებულია შემდეგ ქალაქებში: აშშ,-ში ქ. ჩარლსტონი; ქ. ატლანტა; ქ. ჰიუსტონი; ქ. ბოსტონი, თურქეთის რესპუბლიკაში - ქ. იზმირი; ისრაელის სახელმწიფოში - ქ. იერუსალიმი და ქ. აშკელონი; საფრანგეთის რესპუბლიკაში - ქ. ბორდო; ნიდერლანდების სამეფო - ქ. ამსტერდამი; ქ. როტერდამი; დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოში - ქ. ბრისტოლი; იტალიის რესპუბლიკაში - ქ. მილანი; ჩივიტავეკია; პოლონეთის რესპუბლიკაში - ქ. ვროცლავი. წყარო: https://mfa.gov.ge/MainNav/EmbassiesRepresentations/HonoraryConsulsGeorgia.aspx
დიასპორული ორგანიზაციების ნუსხა იხ. შემდეგ ბმულზე: https://gda.ge/pages/diasporuli-organizatsiebi

[8] ბ. ძამაშვილის სადოქტორო ნაშრომის (თემაზე - თანასწორობის უფლების პრობლემური ასპექტები თანამედროვე სამართალში და მისი სათანადო რეალიზების ხელშემშლელი გარემოებები საქართველოში; ნაწილი - დისკრიმინაციის სამართლებრივი მნიშვნელობა და მისი ელემენტები; გვ. 18) მიხედვითაც - „საერთაშორისო და რეგიონალური სტანდარტების გათვალისწინებით, უნდა გამოიყოს დისკრიმინაციის შემდეგი ელემენტები: 1) ქმედება - განსხვავებული მოპყრობა; 2) შესადარებელი კატეგორია - ვისთან მიმართებითაც დგინდება განსხვავებული მოპყრობა; 3) ქმედების მიზეზი - ნიშნის არსებობა, რის გამოც პირს განსხვავებულად მოეპყრნენ; 4) ქმედების მიზანი ან შედეგი - არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენება; 5) განსხვავებული მოპყრობის ობიექტური ან გონივრული განმარტების არსებობა".
წყარო: https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Beqa_Dzamashvili.pdf

სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს. საჭიროა დამატებითი მექანიზმის შექმნა, რათა გამოწვევა უფრო მეტად წარმოჩინდეს. ამისათვის, უპირველესი საზომი უნდა იყოს საქართველოს ფიზიკურ პირთა კომპაქტური დასახლების ადგილების წარმოჩენა, რაც თავისთავად საკონსულო აღრიცხვაზე მოქალაქეთა ყოფნით არის შესაძლებელი. მაგალითად, საკონსულო თანამდებობის პირები მინიმუმ წელიწადში ერთხელ მაინც ახორციელებდნენ თავიანთი საკონსულო ოლქის იმ დასახლებულ ქალაქებსა თუ რაიონებში საკონსულო ოლქის შემოვლას, სადაც საკონსულო აღრიცხვაზე მყოფ პირთა რიცხვი არანაკლებ **500**[9] (ან თუგინდ **1000** ან **2000**) პირია (ამჟამად საზღვარგარეთ საკონსულო აღრიცხვაზე მყოფ საქართველოს მოქალაქეთა რიცხვი 50-100 ათასის ფარგლებში შეიძლება მერყეობდეს. ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა კი შესაძლოა მილიონს აღემატებოდეს). შესაბამისად, საკონსულო აღრიცხვის მონაცემთა გათვალისწინებით დადგენილი და გასაჯაროებული (ვებ გვერდზე გამოქვეყნება) გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, მომსახურების მიღებით დაინტერესებულ პირს წინასწარ ეცოდინება რა მის ადგილსამყოფელ/ ახლომდებარე ქალაქში საკონსულო თანამდებობის პირის ვიზიტის განხორციელების პერიოდის შესახებ, შესაძლოა თავად აღარ დაგეგმავს შორეულ დინსტანციაზე მყოფ საქართველოს საელჩოში (მაგ.: ლიონში თუ ბორდოში მცხოვრები პირი პარიზში წასვლას, ან ფლორენციასა თუ მილანში მყოფი პირი რომში ვიზიტს) გამგზავრება და დაელოდოს უფლებამოსილი თანამდებობის პირის სტუმრობას (აღნიშნული თავისთავად პოზიტიურად იმოქმედებს ემიგრანტთა განწყობებზე. თავის მხრივ არც საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირს მოუწევს იმ ადგილას მივლინება, სადაც ემიგრანტთა რაოდენობა არც თუ ისე ბევრია (თუ რა თქმა უნდა გადაუდებელი აუცილებლობა არ დადგა). საჯარო სამსახურის

---

[9] ცნობისათვის: სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნებს ქმნის ცესკო არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე. არანაკლებ 50 და **არაუმეტეს 3 000 ამომრჩევლისათვის.** ამ საარჩევნო უბნების შედეგებს ცალკე ოქმით აჯამებს ცესკო. შესაბამისად, იქ სადაც 3 საარჩევნო უბანია, საკონსულო აღრიცხვაზე მყოფ პირთა რიცხვი ხსენებულ ქვეყანაში/ საკონსულო ოლქში სავარაუდოდ 6001-დან 9000-მდე მერყეობს.

შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, საჯარო მოსამსახურე ვალდებულია რესურსების ეკონომიურად გამოყენებითა და ხარჯვით ეფექტიანად, სწორად და კოორდინირებულად წარმართოს საჯარო სამსახურში ორგანიზაციული პროცესი ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად და ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესასრულებლად. საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფლისა. ყურადსაღებია **მობილური იუსტიციის სახლის** პროექტი, რა დროსაც მონიციპალიტეტებისგან ზოგიერთ დაშორებულ სოფლებში ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უფლებამოსილი პირები აწვდიდნენ იუსტიციის სახლის მთელ რიგ სერვისებს. აქვე, ავტოსატრანსპორტო საშუალება ტექნიკურად სრულად იყო აღჭურვილი, რათა შეუფერხებლად განახორციელოს როგორც განაცხადის მიღება, ისე მზა დოკუმენტების ადგილზე გადაცემა (სავარაუდოდ - პორტატული მოწყობილობით, ადმინისტრაციული შენობის ფარგლებს გარეთ იუსტიციის ბარებთან დაკავშირება უცხოეთშიც იქნება შესაძლებელი[10]). საქართველოს იუსტიციის და საგარეო საქმეთა მინისტრების 15/10/2010 228-188 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის შესაბამისად, საკონსულო თანამდებობის პირი დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი სამსხურის ზოგიერთ ფუნქციას (სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია ან/და მათში (აქტში) შესწორებების, დამატებების და ცვლილებების შეტანა, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მოწმობების განმეორებით გაცემა, საქართველოს მოქალაქეების რეგისტრაციას და საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის და პასპორტის გაცემა და სხვა. მოცემულ ეტაპზე მოქალაქეთა კონცენტრაციის შეფასების მიზნით, შესაძლოა ასევე ყურადსაღები იყოს საქართველოს პარლამენტის 2020

[10] საქართველოს იუსტიციის და საგარეო საქმეთა მინისტრების 15/10/2010 228-188 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სააგენტო უზრუნველყოფს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა (შემდგომში – სამინისტრო) და საზღვარგარეთ მისი ქვედანაყოფებისათვის მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობას და შემდგომ შეუფერხებელ მუშაობას.

წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის სხვა სახელმწიფოში შექმნილი საარჩევნო უბნების მონაცემები. შესაბამისად, მოცემული გამოწვევის საპასუხოდ, მიზანშეწონილია, რომ საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით საკონსულო თანამდებობის პირებს, გარდა აუცილებლობის დადგომის შემთხვევისა, საკონსულო ოლქის შემოვლის ვალდებულება განესაზღვროთ მოცემული ფუნქციის შესასრულებლად საკონსულო აღრიცხვაზე შესაბამისი რაოდენობით დასახლებულ ქალაქებსა თუ რაიონებში წელიწადში ერთხელ მაინც (თუ მათი რიცხვი **500**, **1000** თუ **2000** მონაცემს რამდენჯერმე აღემატება, საკონსულო თანამდებობის პირი თავად განსაზღვრას დამატებითი შემოვლის განხორციელების საჭიროებას) ვიზიტი, რაც არა მარტო უზრუნველყოფს საკონსულო ფუნქციების ხელმისაწვდომობის ზრდას, არამედ იგი წაახალისებს საკონსულო აღრიცხვაზე დადგომას და გააუმჯობესებს სამივლინებო ხარჯების სწორად დაგეგმვა/ მიმართვის პროცესს.

- **საკანონმდებლო წინადადების ავტორი:**
  - საქართველოს მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძე,** პირადი ნომერი [redacted]
  - მცხ.: [redacted] საფოსტო ინდექსი [redacted]
  - ელ. ფოსტა: [redacted]; მობ.: [redacted]

10/02/2023



განმარტებითი ბარათი
„საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე"
საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განაპირობა 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან ამოქმედებულმა კონსტიტუციურმა ცვლილებებმა. კერძოდ, კონსტიტუციური ცვლილებების ამოქმედებამდე პრეზიდენტი გამოსცემდა სამართლებრივ აქტებს იმ საკითხებზე, რომლებიც არ რეგულირდებოდა საკანონმდებლო აქტებით, ხოლო აღნიშნული ცვლილებების შინაარსიდან გამომდინარე, ამ სამართლებრივი აქტების გამოცემა უნდა მოხდეს საქართველოს მთავრობის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობის მიერ გამოიცა დადგენილება საკითხზე, რომელიც მოწესრიგებული არ არის საქართველოს საკანონმდებლო აქტით და არსებობს მისი მოწესრიგების გადაუდებელი აუცილებლობა, საქართველოს მთავრობა ვალდებულია აქტის გამოცემიდან ერთ თვის ვადაში წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს იმ საკანონმდებლო აქტის პროექტი, რომლითაც გათვალისწინებული იქნება მთავრობის მიერ შესაბამის საკითხზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლებამოსილება. შესაბამისად, კანონპროექტის მომზადების შედეგად, სრულდება საქართველოს მთავრობის ვალდებულება, რომელიც წარმოიშვა „საქართველოში საზღვარგარეთის სახელმწიფოთა საკონსულო დაწესებულებების გახსნისა და საკონსულო დაწესებულებების მუშაკთა დანიშვნის წესების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების გამოცემის შედეგად.

ამასთან ერთად, კანონპროექტით დგინდება სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს მთავრობის ორი დადგენილების გამოსაცემად, ისეთ საკითხებზე, რომლებიც დღეისათვის მოწესრიგებულია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებით. ეს საკითხებია: ა) საკონსულო თანამდებობის პირის მიერ საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე

პირის ნასამართლობის შესახებ ცნობის გაცემის წესი; ბ) საქართველოს საპატიო კონსულის ხელმძღვანელობით საკონსულო დაწესებულების გახსნის, საქართველოს საპატიო კონსულის დანიშვნის და მის მიერ საკონსულო ფუნქციების შესრულების საკითხები;

კანონპროექტით წარმოდგენილი ცვლილებები ითვალისწინებს ასევე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრის სახელწოდებაში ცვლილების შეტანას, რის შედეგადაც სასწავლო ცენტრს ეწოდება სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრი. ლევან მიქელაძე იყო ცნობილი ქართველი დიპლომატი და პოლიტიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი. 1992 წელს იგი დაინიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი ევროპული დეპარტამენტის უფროსად, 1992-1995 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურის სახელმწიფო მრჩეველი. 1995 წლიდან ლევან მიქელაძე მუშაობდა უფროს მრჩევლად ამერიკულ შეერთებულ შტატებში საქართველოს საელჩოში. 1996 წელს იგი დაინიშნა საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ავსტრიის რესპუბლიკაში და ამავდროულად საქართველოს წარმომადგენლად ეუთოსა და ავსტრიაში განლაგებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში. 2002-2006 წლებში ლევან მიქელაძე გახლდათ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და მექსიკაში, 2006 წლიდან კი შვეიცარიის კონფედერაციაში. საქართველოს უახლეს ისტორიაში მას უკავშირდება ყველაზე მნიშვნელოვანი დიპლომატიური მიღწევა - საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანა.

ამასთან, წარმოდგენილი კანონპროექტით საკონსულო თანამდებობის პირი ვალდებულია საკონსულო ოლქის შემოვლა (საკონსულო ოლქის ფარგლებში საქართველოს მოქალაქეთა, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა და პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირთა კომპაქტური დასახლების ადგილების მონახულება, მათი პრობლემების შესწავლა და ადგილზე გარკვეული დახმარების გაწევა) განახორციელოს საკონსულო ოლქის შემოვლის აუცილებლობის შემთხვევაში და არა წელიწადში ერთხელ მაინც, როგორც ამას კანონის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს. კანონით განსაზღვრული მოთხოვნის, ,,საკონსულო ოლქის შემოვლა წელიწადში ერთელ მაინც", შესრულება აქტუალურობას მოკლებულია

არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, რადგან არის ქვეყნები (მაგ.: ავსტრალია, კატარი, იორდანია, არგენტინა, ბრაზილია), სადაც არ არსებობს საქართველოს მოქალაქეთა კომპაქტური დასახლებები და შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეთა კონცენტრაცია აღნიშნულ დასახლებებში უმნიშვნელოა.

მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოდის კანონის ხარვეზი საკონსულო მოსაკრებლის განმარტებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მოქმედი რედაქციიდან გამომდინარეობს, რომ საკონსულო მოსაკრებლის გადახდევინება ყველა შემთხვევაში ხორციელდება მხოლოდ ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე. ამასთან, აღნიშნული განმარტება შესაბამისობაში მოდის „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ განმარტებასთან.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია, საქართველოს მთავრობის იმ ვალდებულების შესრულება, რომელიც წარმოიშვა „საქართველოში საზღვარგარეთის სახელმწიფოთა საკონსულო დაწესებულებების გახსნისა და საკონსულო დაწესებულებების მუშაკთა დანიშვნის წესების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების გამოცემის შედეგად, ასევე განისაზღვრება საკონსულო თანამდებობის პირის მიერ საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის ნასამართლობის შესახებ ცნობის გაცემის წესისა და საქართველოს საპატიო კონსულის ხელმძღვანელობით საკონსულო დაწესებულების გახსნის, საქართველოს საპატიო კონსულის დანიშვნის და მის მიერ საკონსულო ფუნქციების შესრულების წესის გამოცემის სამართლებრივი საფუძვლები.

კანონპროექტით წარმდგენილი ცვლილების მიზანია ასევე, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრის სახელწოდებაში ცვლილების შეტანა, რის შედეგად სასწავლო ცენტრს ეწოდება სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქალაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრი.

ამასთან ერთად, კანონპროექტით ხდება არსებული საკანონმდებლო და პრაქტიკაში რეალიზაციის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრის სახელწოდებაში ცვლილების შეტანას, რის შედეგად სასწავლო ცენტრს ეწოდება სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქალაძის სახელობის სასწავლო ცენტრი.

მე-3 მუხლის „ზ" ქვეპუნქტში, რომელიც ეხება საქართველოს ფიზიკური პირის განმარტებას, ტერმინი „საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი იცვლება ტერმინით „საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი" გამომდინარე „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ'' საქართველოს კანონიდან.

მე-13 მუხლს მე-6 პუნქტის შემდეგ ემატება 6[1] პუნქტი, რომლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება საკონსულო თანამდებობის პირის მიერ საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის
ის შესახებ ცნობის გაცემის წესი. წარმოდგენილი პროექტის ძირითადი არსია ასევე, ცვლილება შევიდეს კანონის მე-16 მუხლის პირველ პუნქტში და კანონის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატება 2[1] პუნქტი, რომელთა ძირითადი არსია საკონსულო თანამდებობის პირმა საკონსულო ოლქის შემოვლა განახორციელოს საკონსულო ოლქის შემოვლის აუცილებლობის შემთხვევაში და არა წელიწადში ერთხელ მაინ როგორც ამას კანონის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს. აქვე გასათვალისწინებელია, რომ პროექტით საკონსულო დეპარტამენტი უფლებამოსილია საკონსულო თანამდებობის პირს გაუწიოს რეკომენდაცია საკონსულო ოლქის შემოვლის თაობაზე.

კანონპორექტის პირველი მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება საქართველოს საპატიო კონსულის ხელმძღვანელობით საკონსულო დაწესებულების გახსნის, საქართველოს საპატიო კონსულის დანიშვნის და მის მიერ საკონსულო ფუნქციების შესრულების საკითხები და საქართველოში საზღვარგარეთის სახელმწიფოთა საკონსულო დაწესებულებების გახსნისა და საკონსულო დაწესებულებების მუშაკთა დანიშვნის წესი.

წარმოდგენილი პროექტის პირველი მუხლის მე-7 პუნქტი ითვალისწინებს საკონსულო მოსაკრებლის გადახდევინებას, როგორც საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად. ასევე ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე.

გარდა წარმოდგენილი ცვლილებებისა, კანონპროექტის მე-2 მუხლი ითვალისწინებს ასევე დავალებას, ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით განისაზღვროს საკონსულო თანამდებობის პირის მიერ საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის ნასამართლობის შესახებ ცნობის გაცემის წესი და საქართველოს საპატიო კონსულის ხელმძღვანელობით საკონსულო დაწესებულების გახსნის, საქართველოს საპატიო კონსულის დანიშვნის და მის მიერ საკონსულო ფუნქციების შესრულების საკითხები.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს, იმ პირთათვის რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.

საქართველო

33169-01-2-20221101069

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/33169
01/11/2022

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძეს

[redacted] ; ტელ: [redacted]

ელ. ფოსტა: [redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი 2022 წლის 26 ოქტომბრის N37222/01 და 37228/01 განცხადებების პასუხად გაცნობებთ, რომ 2017-2021 წლებში საკონსულო კონსულტაციები გაიმართა შემდეგ ქვეყნებთან/საერთაშორისო ორგანიზაციასთან:

- სუამი - 2017 წლის 16-17 მარტი, 2018 წლის 1 ოქტომბერი, 2019 წლის 10 ოქტომბერი;
- ისრაელი - 2017 წლის 10 მაისი;
- თურქეთი - 2017 წლის 8 დეკემბერი, 2019 წლის 15 ნოემბერი;
- უკრაინა - 2018 წლის 3 აგვისტო;
- ესტონეთი - 2018 წლის 5 დეკემბერი;
- სომხეთი - 2019 წლის 15 თებერვალი, 2021 წლის 14 აპრილი;
- ირანი - 2019 წლის 20 თებერვალი;
- უზბეკეთი - 2019 წლის 19 ივლისი;
- აზერბაიჯანი - 2019 წლის 11 ოქტომბერი;
- თურქმენეთი - 2019 წლის 1 ნოემბერი;
- ბელარუსი - 2019 წლის 3 დეკემბერი.

ამასთან, რაც შეეხება საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირის მიერ ცენტრალურ აპარატში წარსადგენ წლიური ანგარიშის ფორმას - ეს უკანასკნელი განსაზღვრულია საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის 2010 წლის 29 სექტემბრის N.4/17956-18 დირექტიული წერილით, რომელსაც გიგზავნით დანართის სახით.

დანართი: 3 (სამი) გვერდი

პატივისცემით,
თეა ლეკვეიშვილი

№2

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ზოგადი სტატისტიკური მონაცემები			
კატეგორიები	რაოდენობა	ინფორმაციის მიღების წყარო (უწყება)	შენიშვნა
საქ. მოქალაქეთა საერთო რაოდენობა			
საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს ადგილსამყოფელი ქვეყნის მოქალაქეობა			
საქ. მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც შეეიდნენ ადგილსამყოფელი ქვეყნის ტერიტორიაზე			
საქ. მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებმაც დატოვეს ადგილსამყოფელი ქვეყნის ტერიტორია			
საქ. მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებმაც მოითხოვეს თავშესაფარი			
საქ. მოქალაქეთა რაოდენობა, რომელთა თხოვნა დაკმაყოფილდა თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით			
საქ. მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებსაც აქვთ დროებითი ან მუდმივი ბინადრობის უფლება (საფუძვლების მითითებით)			
საგანმანათლებო დაწესებულებებში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა			
სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ საქ. მოქალაქეთა რაოდენობა			
სადეპორტაციო დაწესებულებაში მყოფ პირთა რაოდენობა			
დეპორტირებულ მოქალაქეთა რაოდენობა			
ექსტრადირებულ მოქალაქეთა რაოდენობა			
რეადმისირებულ მოქალაქეთა რაოდენობა			
გადმოყვანილ მსჯავრდებულთა რაოდენობა			
გარდაცვლილ საქ. მოქალაქეთა რაოდენობა			

ცხრილში უნდა მიეთითოს საანგარიშო წლის მონაცემები.

-დიპლომატიური წარმომადგენლობა/საკონსულო დაწესებულება, რომლის საკონსულო ოლქი მოიცავს ერთზე მეტ უცხო ქვეყანას, წინამდებარე სტატისტიკური ცხრილი უნდა შეავსოს ყოველი კონკრეტული უცხო ქვეყნისთვის ცალცალკე, ამასთანავე ცხრილის მარჯვენა ზედა კუთხეში უნდა მიეთითოს, ქვეყანა, რომელზეც წარმოდგენილია ზემოთმოყვანილი მონაცემები.

-ინფორმაციის მიღების წყაროში მიეთითება ის კონკრეტული უწყება რომელსაც მიემართა ინფორმაციის მოთხოვნით.

-ცხრილში ასახულ საკითხებზე ინფორმაციის მიღების მიზნით, უნდა მიემართოს ადგილსამყოფელი ქვეყნის კომპეტენტურ უწყებებს, საანგარიშო პერიოდის დასრულებამდე ორი თვით ადრე.

წლიური ანგარიშში განსახილველი თემები

1. საკონსულო დაცვა:

   ა) საკონსულო დაცვის კუთხით ადგილსამყოფელ ქვეყანაში/ებში[1] განხორციელებული საკონსულო მოქმედებების სახეობები (რა სახის საკონსულო დახმარების გაწევის აუცილებლობა დგება დადგის წესრიგში კონკრეტულ ქვეყნებთან მიმართებით);

   დ) საკონსულო დაცვის გაწევის პროცესში არსებული პრობლემები.

2. საკონსულო ოლქის შემოელა:

   ა) საკონსულო ოლქის შემოელის დროს საქართველოს მოქალაქეთა ძირითადი კონცენტრაციის ადგილები (რაოდენობა ადგილების მიხედვით და საქმიანობის სფერო);

   ბ) საკონსულო ოლქის შემოელის დროს საქართველოს მოქალაქეებთან განხილული ძირითადი საკითხები (განხორციელებული საკონსულო მოქმედებები);

   გ) საკონსულო ოლქის შემოელის შედეგების ანგარიში და შეფასება.

3. საკონსულო საქმიანობის პროცესში გამოვლენილი ძირითადი პრობლემატიკის მომოხილვა:

   ა) ძირითადი პრობლემატიკა რაც არ არის დაკავშირებული საკონსულო დაცვასთან (გამომწვევი მიზეზები, გადაჭრის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები და მიღწეული შედეგი);

   ბ) საკონსულო საქმიანობის პროცესში, საქართველოს კანონმდებლობის გამოყენების დროს წარმოქმნილი სირთულეები რაც განპირობებულია ადგილსამყოფელი ქვეყნ(ებ)ის სპეციფიკით; (მოკლე აღწერა და პრობლემის გადაწყვეტის თქვენი ხედვა).

   გ) საკონსულო საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, კონკრეტული მიმართულების მარეგულირებელი ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმების აუცილებლობის თაობაზე თქვენი მოსაზრებები (კონკრეტულად რა სახის ხელშეკრულება, რა

[1] საკონსულო დაწესებულება, რომლის საკონსულო ოლქი მოიცავე რამოდენიმე ქვეყანას საკონსულო დაცვის კუთხით ინფორმაციას წარმოადგენს თითეული ქვეყნისათვის ცალცალკე.

მხრივ დაეხმარება ხელშეკრულების არსებობა თქვენს საქმიანობას და ამ მიმართულებით თქვენი საქმიანობის აღწერა).

4. საკონსულო საქმიანობის სფეროში თანამშრომლობა ადგილსამყოფელ ქვეყნის სტრუქტურებთან, ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან:

   ა) ზოგადი მიმოხილვა, განხილული საკითხები და მიღწეული შედეგები.

5. ინფორმაცია ადგილსამყოფელ ქვეყანაში მოღვაწე საქართველოს საპატიო კონსულებთან თანამშრომლობის შესახებ;

   ა) საპატიო კონსულის საქმიანობის მოკლე შეფასება;

   ბ) ერთობლიეი ღონისძიებები;

   გ) წინადადებები საქართველოს საპატიო კონსულის კონკრეტული საკონსულო ფუნქციებით აღჭურვის მიზანშეწონილობის შესახებ.

6. ინფორმაცია ადგილსამყოფელ ქვეყანაში წლის განმავლობაში განხორციელებული საკანონმდებლო და სხვა სახის მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ (თქვენი შეფასება - მიზეზები, დამდგარი შედეგი და მათი ზეგავლენა ქვეყანაში მყოფ საქართველს მოქალაქეებზე).

7. ინფორმაცია ადგილსამყოფელი ქვეყნის გამოცდილების და პრაქტიკის შესახებ (ინფორმაცია საკონსულო სამსახურების საქმიანობის მოწყობის, წარმდგენი სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოებთან მათი კოორდინაციის, საკონსულო სფეროში ადგილსამყოფელი ქვეყნის გამოცდილების ასევე ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანია თავისი შინაარსით და მოქმედების სფეროთი და რომელიც პრაქტიკაში არ გაგქვს საქართველოში), რომელიც თქვენი აზრით უნიკალურია და შესაძლოა მისი დანერგვა საქართველოში.

8. სხვა სახის ინფორმაცია, რომელსაც თქვენ მიიჩნევთ მნიშვნელოვნად წლიურ ანგარიშში ასახვის მიზანშეწონილობის კუთხით.

№	უბნის №	საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის სხვა სახელმწიფოში შექმნილი საარჩევნო უბნები
1	№3 საარჩევნო უბანი	**ავსტრიის რესპუბლიკა, ქ. ვენა,** მის.: :რუდოლფსპლატც 2/8ა, ა-1010 ვენა, ავსტრიის რესპუბლიკა Rudolfsplatz 2/8A, A-1010 Vienna, Republic of Austria
2	№7 საარჩევნო უბანი	**ამერიკის შეერთებული შტატები, ქ. ვაშინგტონი,** მის.: 1824 რ სტრიტი ჩრდილო დასავლეთი, ქ. ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი 20009 1824 R Street N.W. Washington, DC 20009
3	№8 საარჩევნო უბანი	**ამერიკის შეერთებული შტატები, ქ. ნიუ-იორკი,** მის: 144 აღმოსავლეთის 44-ე ქუჩა, მე-4 სართული, ნიუ-იორკი, NY 10017, 144 East 44th Street 4th Floor, New York, NY10017
4	№9 საარჩევნო უბანი	**ამერიკის შეერთებული შტატები, ქ. ნიუ-იორკი,** მის.: 144 აღმოსავლეთის 44-ე ქუჩა, მე-4 სართული, ნიუ-იორკი, NY 10017, 144 East 44th Street 4th Floor, New York, NY10017
5	№10 საარჩევნო უბანი	**ამერიკის შეერთებული შტატები ქ. სან-ფრანცისკო,** მის.: მონტგომერის ქუჩა 930. ერთეული 301 სან ფრანცისკო, კალიფორნია 9413. Consulate General of Georgia in San Francisco 930 Montgomery Street. Unit 301 San Francisco, CA 94133
6	№11 საარჩევნო უბანი	**ბელარუსის რესპუბლიკა, ქ. მინსკი,** მის.: ქ. მინსკი, თავისუფლების მოედანი, №4 Minsk, Liberty sq. №4
7	№12 საარჩევნო უბანი	**ბელგიის სამეფო, ქ. ბრიუსელი,** მის.: პერ ეუდორ დევრუას ქ. N 245, 1150 ვოლუვე სენ პიერ, Rue Père Eudore Devroye, 245, 1150, Woluwe St.Pierre
8	№13 საარჩევნო უბანი	**ბულგარეთის რესპუბლიკა, ქ. სოფია,** მის.: კრიჩიმის ქ. №65, ლოზენეცი, სოფია, 1164, ბულგარეთი, ул. Кричим 65, кв. Лозенец, Гр.София, 1164, България
9	№14 საარჩევნო უბანი	**გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ქ. ბერლინი** მის.: რაუხშტრასე 11, 10787 ბერლინი. Rauchstraße 11, 10787 Berlin
10	№15 საარჩევნო უბანი	**გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ქ. მაინის ფრანკფურტი,** მის.: ბოკენჰაიმერ ლანდშტრასე 97-99. 60325 მაინის ფრანკფურტი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, Bockenheimer Landstrasse 97-99, 60325 Frankfurt am Main, Bundesrepublik Deutschland
11	№16 საარჩევნო უბანი	**გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ქ. მიუნხენში** მის.: საქართველოს საპატიო საკონსულო, ლუიზენშტრასე 43/2, 80333 მიუნხენი, Honorarkonsularische Vertretung von Georgien Luisenstraße 43/2, 80333 München
12	№17 საარჩევნო უბანი	**დანიის სამეფო, ქ. კოპენჰაგენი** მის.: კალვებოდ ბრიუგგე 45 1560 კოპენჰაგენი , დანია, Kalvebod Brygge 45 1560 Copenhagen, Denmark
13	№18 საარჩევნო უბანი	**დიდი ბრიტანეთი, ქ. ლონდონი,** მის.: 20 სენტ ჯორჯს სქვეარ, ლონდონი, SW1V 2HP, 20 St George's Square, London SW1V 2HP
14	№19 საარჩევნო უბანი	**ესპანეთის სამეფო, ქ. მადრიდი,** მის.: პლასა დე ლას კორტეს 4, მე-5 სართული, მარჯვენამხარე , 28014. Plaza de las Cortes 4, piso 5, derecha, C.P. 28014
15	№20 საარჩევნო უბანი	**ესპანეთის სამეფო, ქ. ბარსელონა,** მის.: ქ. ბარსელონა, პასეო დე გრასია 7, 3 მარჯვენა, 08007, Paseo de Gracia 7,3º Derecha, 08007, Barcelona
16	№21 საარჩევნო უბანი	**ესტონეთის რესპუბლიკა, ქ. ტალინი,** მის.: ვირუ-ვალიაკ 2, 10111, Viru-väljak 2, 10111

17	№22 საარჩევნო უბანი	**თურქეთის რესპუბლიკა, ქ. ანკარა,** მის.: ქილიჩ ალის ქ. N12, ორანის დიპლომატიური უბანი, ორანი/ჩანქაია. 06450 Kılıç Ali sok 12, Oran Diplomatik Sitesi, Oran/Çankaya, 06450
18	№23 საარჩევნო უბანი	**თურქეთის რესპუბლიკა, ქ. სტამბოლი,** მის.: ბეშიქთაშის რაიონი, უბანი ლევენთი, სუმბულის ქუჩა, №17 SÜMBÜL SOKAK N17, LEVENT/34330/BEŞIKTAŞ/İSTAMBUL/TÜRKİYE
19	№24 საარჩევნო უბანი	**თურქეთის რესპუბლიკა, ქ. ტრაპიზონი,** მის.: ორტაჰისარის უბანი, პერტევფაშას ქ. №10 ქ. ტრაპიზონი, Ortahisar Mah. Pertevpaşa sok. No:10 Trabzon/Turkey/ 61030
20	№25 საარჩევნო უბანი	**ირლანდია, ქ. დუბლინი,** მის.: ირლანდია, ქ. დუბლინი, 17 მორჰემპტონ როუდ, დონიბრუკ, დუბლინ 4. 17, Morehampton Road, Donnybrook, Dublin 4, Ireland
21	№26 საარჩევნო უბანი	**ისრაელის სახელმწიფო, ქ. თელ-ავივი,** მის.: დანიელ ფრიშის ქუჩა №3, თელავივი, Daniel Frisch Street 3, Tel Aviv
22	№27 საარჩევნო უბანი	**იტალიის რესპუბლიკა, ქ. რომი,** მის.:ვია დელ პლებიშიტო, 102, 00186 რომი, Via del Plebiscito, 102, 00186 Roma RM
23	№28 საარჩევნო უბანი	**იტალიის რესპუბლიკა ქ. ბარი,** მის.: ვიტო ნიკოლო დე ნიკოლას ქ. 48, პირველი სართული, 70121 ქ. ბარი, იტალია, Indirizzo Via Vito Nicola De Nicolo 48, 70121, Bari, Italy
24	№29 საარჩევნო უბანი	**კანადა, ქ. ოტავა,** მის.: ალბერტის ქუჩა 340, ოფისი 940, 340 Albert Street, Suite 940, Ottawa ON Canada K1R 7Y6
25	№30 საარჩევნო უბანი	**კვიპროსის რესპუბლიკა, ქ. ნიქოზია,** მის.: ვასილისის ამალიას 3, 1101, ნიქოზია, კვიპროსი VasilissisAmalias 3, 1101, Nicosia, Cyprus
26	№31 საარჩევნო უბანი	**ლატვიის რესპუბლიკა, ქ. რიგა,** მის.: რაინია ბულვარი 3, რიგა, ლატვიის რესპუბლიკა ლვ-1050, Raina bulvaris 3, Riga, Latvija, LV – 1050
27	№32 საარჩევნო უბანი	**ლიეტუვას რესპუბლიკა, ქ. ვილნიუსი,** მის.: ლიეტუვის რესპუბლიკა, ქ. ვილნიუსი, ალგირდოს ქ. 4, LT-03161; Algirdo g. 4, LT-03161, Vilnius, Lietuvos Respublika
28	№33 საარჩევნო უბანი	**მოლდოვას რესპუბლიკა, ქ. კიშინოვი,** მის.: 31 აგვისტო 1989 ქ. 57, Str.31 August 1989, 57
29	№34 საარჩევნო უბანი	**ნიდერლანდების სამეფო, ქ. ჰააგა,** მის.: ლანგე ვაივერბერგ 12, Lange Vijverberg 12,2513 AC, The Hague
30	№35 საარჩევნო უბანი	**პოლონეთის რესპუბლიკა, ქ. ვარშავა,** მის.: კრინიჩნას ქ. №2, ქ. ვარშავა 03-934, Ul. Kryniczna 2, 03-934 Warszawa
31	№36 საარჩევნო უბანი	**პორტუგალიის რესპუბლიკა, ქ. ლისაბონი,** მის.: ფერნაო სუარეშის 6-ა 1400-149, 6-A FERNAO SOARES. 1400-149.
32	№37 საარჩევნო უბანი	**საბერძნეთის რესპუბლიკა, ქ. ათენი,** მის.: ტაიგეტუს ქ. 27, 15452 პალეოფსიხიკო, 27, TAYGETOY ST., 15452 PALEO PSYCHIKO, ATHENS, GREECE
33	№38 საარჩევნო უბანი	**საბერძნეთის რესპუბლიკა, ქ. ათენი,** მის.: ტაიგეტუს ქ. 27, 15452 პალეოფსიხიკო, 27, TAYGETOY ST., 15452 PALEO PSYCHIKO, ATHENS, GREECE
34	№39 საარჩევნო უბანი	**საბერძნეთის რესპუბლიკა, ქ. ათენი,** მის.: ტაიგეტუს ქ. 27, 15452 პალეოფსიხიკო, 27, TAYGETOY ST., 15452 PALEO PSYCHIKO, ATHENS, GREECE
35	№42 საარჩევნო უბანი	**საფრანგეთის რესპუბლიკა, ქ. პარიზი,** მის.: 8 რუ ბრემონწიე 75017 პარიზი, 8 Rue Bremontier, 75017 Paris, France
36	№43 საარჩევნო უბანი	**სლოვაკეთის რესპუბლიკა, ქ. ბრატისლავა,** მის.: მიხალსკას ქ. 9, 811 01 ბრატისლავა, Michalská str. 9, 811 01 Bratislava I, Slovak Republic

37	№44 საარჩევნო უბანი	**სომხეთის რესპუბლიკა, ქ. ერევანი,** მის.: ბაბაიანის ქ. 2/10, Babayan str. 2/10
38	№45 საარჩევნო უბანი	**უზბეკეთის რესპუბლიკა, ქ. ტაშკენტი,** მის.: ქ. ტაშკენტი, იუნუსაბადის რაიონი, ფირდავსის ქ. №7; ინდექსი: 100084, Tashkent, Yunusobod district, Firdavsi street №7, index: 100084
39	№46 საარჩევნო უბანი	**უკრაინა, ქ. კიევი,** მის.: ქ. კიევი, ტარას შევჩენკოს ბულვარი №25, 01032, 25, Taras Shevchenko Blvd, 01032 Kyiv, Ukraine
40	№47 საარჩევნო უბანი	**უკრაინა, ქ. კიევი,** მის.: ქ. კიევი, ტარას შევჩენკოს ბულვარი №25, 01032, 25, Taras Shevchenko Blvd, 01032 Kyiv, Ukraine
41	№48 საარჩევნო უბანი	**უკრაინა, ქ. ოდესა** მის.: მარიინსკის №4, Mariinskaya str. 4, 65012
42	№49 საარჩევნო უბანი	**უნგრეთი, ქ. ბუდაპეშტი,** მის.: H-1125, ვირანიოშის ქ. №6/ბ, H-1125, Viranyosstr. 6/B
43	№50 საარჩევნო უბანი	**ქუვეითის სახელმწიფო, ქ. ალ-ქუვეითი,** მის.: ქუვეითი, სალვა, მე-12მ/რ,მე12-ქუჩა, შენობა №5, Kuwait, Salwa, Block12, Street12,Villa №5
44	№51 საარჩევნო უბანი	**ყაზახეთის რესპუბლიკა, ქ. ნურ-სულთანი,** მის.: ქ. ნურ-სულთანი, სარიარკას გამზირი 6, ბიზნეს ცენტრი „Arman" მე-10 სართული, ოფისი №1020. Republic of Kazakhstan, Nur-Sultan, Saryarka Avenue 6, Business Center "ARMAN", 10th floor, Room 1020.
45	№52 საარჩევნო უბანი	**შვედეთის სამეფო, ქ. სტოკჰოლმი,** მის.: ჰოლლენდარგატან 23, მე-2 სართული, 11160 სტოკჰოლმი, Holländargatan 23, 2 tr, 11160 Stockholm
46	№53 საარჩევნო უბანი	**შვეიცარიის კონფედერაცია, ქ. ბერნი,** მის.: სეფტიგენშტრასე 7, 3007, Seftigenstrasse 7,3007, Swiss Confederation
47	№54 საარჩევნო უბანი	**ჩეხეთის რესპუბლიკა, ქ. პრაღა,** მის.: მლინსკა 22/4, 160 00 პრაღა 6, Mlýnská 22/4, 160 00 Praha 6
48	№55 საარჩევნო უბანი	**კატარის სახელმწიფო, ქ.დოჰა,** მის.: ვესტ ბეის რაიონი, ზონა 66, ქუჩა 835, ვილა 9, ქ. დოჰა, კატარის სახელმწიფო, West Bay area, Zone 66, Al Rum Ram Street no.835, villa no.9, P.O. Box 24118, Doha, State of Qatar
49	№56 საარჩევნო უბანი	**ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ქ. პეკინი,** მის.: ქ. პეკინი, ჩაოიანის რაიონი, სიაოიუნის ქუჩა №18, კინგსგარდენვილა D101, Chaoyang District, Beijing, Xiao Yun Road 18, Kings Garden Villa, Block D101
50	№57 საარჩევნო უბანი	**ნორვეგიის სამეფო, ქ. ოსლო** მის.: პილესტრედეთ N15ბ, 0164, Pilestredet 15b, 0164